საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციური პარტიის მთავარ. კომიტეტის ორგანო.

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

ოთხშაბათი, თებერვლის 8
1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ და ძვირფას ამხანაგის

გრიგოლ (გრიშა) სერაპიონის ძის კამკამიძის

უდროვოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე დიდუბე—შერემეტევის ქ. 46. 137

კიდევ ერთი კონფერენცია

როგორც მკითხველმა იცის, კაპიტალისტურმა სამყარომ არა ერთი კონფერენცია წარმოშვა, რომლითაც იგი ცდილობდა ეკონომიური კატასტროფის თავიდან აცდენასა და ძალა-უფლების შენარჩუნებას.

ამ უკანასკნელ ხანში კონფერენციები კიდევ უფრო გახშირდა, რაც თავის თავად ეკონომიური კრიზისების გაძლიერებით აიხსნება. მართალია ერთი და იგივე სისწრაფით არ მიდის ევროპის დეკადანსი, მაგრამ ხვეული ხაზი მაინც ერთი მთავარი დებულების ირგვლივ იყრის თავს და ცხადჰყოფს კაპიტალისტური კულტურის კრიზისს.

მერკანტილისტური მადა ვერ შესძლებს დაშლილი მეურნეობის აღდგენას. იმპერიალისტური მიზნები ვერ შექმნის რენესანსის ფაქტორებს. კაპიტალიზმი იმპერიალიზმს გარეშე კი ოცნებაა. ამიტომ კაპიტალისტურმა მეურნეობამ, რომელმაც ანარქია გამეფა წარმოებაში, ადგილი უნდა დაუთმოს მეურნეობის რეგულირიზაციას, რომელიც შესაძლებელია სოციალისტური პოლიტიკის დროს.

ომის დროს კაპიტალისტური სამყაროს უძლიერესი ქვეყანა ინგლისიც, იძულებული გახდა კერძო საკუთრების პრინციპი გადაელახა და მუნიციპალიზაციით გადაერჩინა თავი დაცემისაგან.

დღეს კი იმავე ალტერნატივის წინაშე სდგას მსოფლიო, დღესაც საბედისწერო კითხვა სდგას ან სოციალიზმი, ან კაპიტალიზმი. ეს არის ქვაკუთხედი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის. ამ პოლიტიკის შედეგია ვაშინგტონის კონფერენცია, რომელიც ცდილობდა ბურჟუაზიული ფრონტის გაერთიანებას, მაგრამ ვერც ერთი საკითხი ვერ გადაჭრა ისე, როგორც ამას მოითხოვდა გაერთიანების თვალსაზრისი.

მართალია ოთხთა შეთანხმების აქტი დაიწერა, მაგრამ ეს აქტი უფრო დეკლარაციაა, ვიდრე არსებითი მდგომარეობის შეცვლა.

კანის კონფერენცია, რომელიც ვაშინგტონის კონფერენციამ წარმოშვა თავის თავად ამტკიცებს, რომ ბურჟუაზიული ფრონტის გაერთიანება ვაშინგტონში არ მოხერხდა. ეს საკითხი ვერც კანში იქმნა გადაჭრილი, რისთვისაც ისევ ახალი, კიდევ ერთი კონფერენციის მოწვევა დაადგინეს და გენუაში ფიქრობენ მასლაათის გამართვას.

რა მდგომარეობაა გენუაში?

გენუას კონფერენციას აქვს ერთი დიდი უპირატესობა, რომელიც რუსეთ-ევროპასეთის მონაწილეობით აიხსნება. ეს მონაწილეობა კომპრომისია ორივე სამყაროს მიერ დაშვებული. რუსეთის მიწვევა არსებითად მის ცნობას ნიშნავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის „შერიგებას“.

გენუას კონფერენციით ახალი პერიოდი იწყება მსოფლიოში არსებულ ორ ძალთა დაპირისპირებაში. ბრძოლა ისევ არის გაჩაღებული, თუმცა ზარბაზნის ქუხილი შეწყდა. ბრძოლამ სახე იცვალა, სხვა ხასიათი მიიღო, მაგრამ არსებითად იგ მაინც გრძელდება.

გენუას კონფერენცია შესაძლებელია ნაყოფიერი გამოდგეს სხვა კონფერენციებთან შედარებით, მაგრამ ეს ნაყოფიერება შესაძლებელი მოხდეს ორივე ბანაკის, რევოლიუცია-რეაქციის კომპრომისით.

ორივე ძალა დარწმუნდა, რომ მოწინააღმდეგე არ არის უსუსური, რომლის დამხობა ერთი ხელის დაკვრით შეიძლებოდეს. ამავე დროს მეურნეობის იმანენტური ბუნება რაიმე ურთიერთობის აუცილებლობას აყენებს ორივე ძალის წინაშე, ამიტომ შესაძლებელია ორივე ძალა კომპრომისზე წავიდეს, რომელიც რა თქმა უნდა დროებითია და ახალი ბრძოლებისათვის ენერგიის დამზადებას ჰგულისხმობს.

ამას გარდა, გენუას კონფერენციამ გამოაშკარავა ერთი დებულება, რასაც ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავდით. ეს დებულება ბურჟუაზიული ფრონტის გაერთიანების შეუძლებლობაა. გენუაში თავი მოიყარა თითქმის ყველა მონაწილემ, რომელიც არიან კაპიტალისტური სამყაროს ბოძნი, მაგრამ ამავე სამყაროს უდიდესი ბოძი — ამერიკა, უარს აცხადებს მონაწილეობის მიღებაზე.

ჩვენ კარგად გვესმის გარდინგის განცხადება ამერიკის პოზიციის სიძნელეზე გენუაში. ამერიკისა და ევროპის ინტერესებზე არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი, ხოლო ამ ჟამად გვაინტერესებს თვით ფაქტი ამერიკის თავის დაჭერისა, რაც ბურჟუაზიული ფრონტის მთლიანობისათვის სანუგეშოს ვერაფერს ამბობს.

რას იტყვის გენუა ამიერკავკასიის რესპუბლიკების შესახებ?

შესაძლებელია ამიერ კავკასიის რესპუბლიკების შესახებ გენუამ თავისი სიტყვა არა სთქვას.

მართალია დიდი ყურადღებით, ეპყრობოდა ანტანტა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, მაგრამ ეს ყურადღება შედეგი იყო ანტი ბოლშევიკური ძალისადმი. რომელიც იმავე წერტილში სცემდა ბოლშევიზმს, როგორშიც თვით ანტანტა.

დღეს გენუაში მიდიან არა წინააღმდეგობისათვის უმთავრესად, არამედ შეთანხმებისათვის, — დათმობისათვის. გენუას და მის კაპიტალისტურ ძალებს უდიდესი კარდინალური საკითხი აქვს გადასაწყვეტი, რაც ესოდენი აუცილებლობით მოითხოვს რუსეთთან დროებით ურთიერთობას და ამიტომ ისინი საქართველოსა და აზერბეიჯანის საკითხისათვის არ გაუშვებენ ხელს რუსეთთან ურთიერთობას.

ყოველივე კი უფრო დიდ მოვლენათა წარმოშობას გვიკარნახებს და გადაჭრით გვეუბნება, რომ ეს კონფერენციაც ვერ შესძლებს იმ წყლულთა განკურნებას, რომელიც გადააჩნდა კაპიტალისტურ სამყარო კატასტროფისაგან.

საქართველოს „თავისუფლებას“ ზოგი გენუასაგან მოელის, ისე, როგორც მოელოდა ვაშინგტონისა და კანისაგან. ჩვენ არასოდეს არ ვიზიარებდით და არც დღეს ვიზიარებთ ასეთ პოლიტიკურ ფილოსოფიას და საქართველოს ჭეშმარიტ თავისუფლებისაკენ მივდივართ არა რეაქციის, არამედ რევოლიუციის გზით.

სერ. ამაღლობელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

მოსკოვის „იზვესტია“ 21 იანვრიდან მოწინავეში შემდეგსა სწერს: „დღეს იწყებს თვის მუშაობას შორეულ აღმოსავლეთის მშრომელთა ყრილობა.

წარმომადგენელნი ნაციონალურ-რევოლიუციონურ და კომუნისტურ ჯგუფებისა, რადიკალური პრესისა, ახალგაზრდობის კავშირი, ქალაქების, კომუნისტურ და პროფესიონალურ ორგანიზაციებისა შეიკრიბნენ რუსეთის მუშათა და გლეხთა სატახტო ქალაქში, წითელ მოსკოვში იმისათვის, რომ ისარგებლონ რა მისი თავისუფალი ტრიბუნით და ამ ტრიბუნის რეზონანსით, მოუთხრონ მთელს მსოფლიოს იმ გაჭირვებებზე, რომელშიაც აგდებს ამ ქვეყნების მშრომელ ხალხს ევროპიული და ორიენტალური იმპერიალიზმი; შეიკრიბნენ იმისათვის, რომ გაითვალისწინონ და გაცნონ ბრძოლის გამოცდილ მეთოდებს მსოფლიო მტაცებლობის წინააღმდეგ.

ამ ყრილობაზე წარმოდგენილია შორეულ აღმოსავლეთის მცხოვრებთა ყველა წრეები, რომელნიც შეერთებულნი არიან საერთო სიძულვილით მჩაგვრელების წინააღმდეგ.

დამონებულმა კორეამ, რომელიც სულს დაფავს იაპონიის კოლონიზატორებისა და ჟანდარმების უღლის ქვეშ, წარმოგზავნა ყრილობაზე 60 წარმომადგენელზე მეტი. აქ არის წარმომადგენელნი კორეის პატრიოტ ქალებისა, კორეის ურთი-ერთ დამხმარე კავშირის (ფართო ნაციონალურ-რევოლიუციონური ორგანიზაცია) სეულის პროფესიონალურ ორგანიზაციებისა, რომელიც იყო კორეის სატახტო ქალაქი. წარმომადგენელნი კორეის კომუნისტური ორგანიზაციებისა და კორეის ემიგრაციისა ჩინეთსა და ამერიკაში, წარმომადგენელნი კორეის გლეხთა სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და კანდოს გმირული მიდამოებისა, რომელიც დიდიხანი არ არის აწიოკებულ იქმნა იაპონიის დამსჯელი ექსპედიციების მიერ. ერთი სიტყვით, მთელი გვემული კორეა არის წარმოდგენილი ამ ყრილობაზე.

ჩინეთის მშრომელი მასსები წარმოდგენილია ყრილობაზე საგრძნობი წარმომადგენლების რიცხვით: 50 დელეგატამდის არის წარმოდგენილი სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთისაგან, კანტონისაგან, სიჩუანის პროვინციისაგან, შუა და ჩრდილოეთის ჩინეთისაგან, პროვინცია დეკე-დზიან-დან, „თავისუფალი“, მაგრამ საზღვარ-გარეთული კონცესიების მარწუხში მომწყვდეული ქალაქებიდან—ხანკოუსა და შანხაისაგან, პეკინისაგან, ტიან-ცზინისა, ხანდზუნისა და სხვ. რაიონებისაგან, რომელთაც იგემეს სიმძიმე იაპონიის ოკუპაციისა და მსოფლიო კაპიტალის ბატონობისა. ჩინეთის ყოველი მხრიდან მშრომელმა მასსებმა გამოგზავნეს მოსკოვში საუკეთესო თვისი წარმომადგენლები. აქ არიან წარმოდგენილნი: საზოგადოება ახალგაზრდა ჩინეთისა (გავლენიანი ნაციონალურ-რევოლიუციონური ორგანიზაციათაგანია ჩინეთში), პარტია გომინდან, რომელიც ჰმართავს სეპარატისტულ სამხრეთ ჩინეთისას და, რომელიც არის გამომხატველი ნაციონალურ მთლიანობის იდეებისა ცისქვეშეთის რესპუბლიკისა; აქვე არიან წარმომადგენლები მელითონეთა კავშირებისა, მეზღვაურებისა, დურგლებისა, ჩინეთის სოციალისტური ახალგაზრდობისა და ახალგაზრდა ჩინეთის კომუნისტური პარტიისა, რომელმაც უკვე დაიწყო შემოკრება თვის ირგვლივ ჩინეთის მშრომელთა მასსების საუკეთესო ელემენტებისა.

მშრომელმა მასსებმა კაპიტალისტური იაპონიისა, რომელნიც სულს დაფავენ მილიტარიზმის უღლისა და აუტანელი გადასახადების ქვეშ, რომელნიც გადაქცეულნი არიან ზარბაზნის ხორცად თავის ქვეყნის მილიტარისტების ფაბრიკანტებისა და ბანკირებისათვის, წარმომადგენლებმა მშრომელთა ნახევრად პროლეტარული ორგანიზაციებისა და იაპონიის ახალგაზრდა კომუნისტურმა პარტიამ გამოგზავნეს ყრილობაზე 20-ს თავისი წარმომადგენლები და მათ რიცხვში უძველესი მებრძოლი იაპონიის მასსების განთავისუფლებისათვის-ბელადი შორეული აღმოსავლეთისა, ხელმძღვანელი კომუნისტური მოძრაობისა დოქტორი სენ კატიამა, რათა ჩინეთის, კორეის და მონღოლიის მშრომელთა წარმომადგენლებთან ერთად, რომელნიც დაჩაგრებულნი არიან იაპონიის იმპერიალიზმის მიერ, შეიმუშაონ ბრძოლის საზოგადო მეთოდები მთლიანი მტრის წინააღმდეგ—პირველს რიგში იაპონიის იმპერიალიზმის და შემდეგ მის ევროპიულ თანამოძმეთა წინააღმდეგ. იაპონიის დელეგაციის შემადგენლობაში სრულად არის წარმოდგენილი იაპონიის კომუნისტური პარტია, უდიდესი მუშური ორგანიზაცია „რადოში“ (უკიდურესი მემარცხენე), სინდიკალისტური და ანარქისტული ორგანიზაციები, პროფესიონალური ორგანიზაციები თვითეულ იაპონურ კუნძულებიდან, მბეჭდავთა კავშირი, მთის მუშები და იაპონიის ემიგრაცია. დელეგაციის შემადგენლობაში უმრავლესობას შეადგენს მუშები. წარმოდგენილია აგრეთვე იაპონიის მშრომელი ინტელიგენცია (ჟურნალისტები, ადვოკატები და პროფესიონალური რევოლიუციონერები). იაპონიის დელეგაციის დასწრება მაჩვენებელია ცხადი პროტესტისა, ძალმომრეობისა და მტაცებლობის წინააღმდეგ, რომელსაც ადგიან იმპერიალისტები ამ ქვეყნების და აღმოსავლეთი აზიისა.

მონღოლია, რომელიც მხოლოდ ეხლახან განთავისუფლდა იაპონიის თავისებურ ოკუპაციისაგან, რომელიც ხორციელდებოდა ბარონ უნგერნის დაქირავებული ბანდების შემწეობით, წარმოდგენილია ყრილობაზე ორი დელეგაციის სახით: მონღოლიის მმართველი სახალხო—რევოლიუციონური პარტიისაგან, რომლის შემწეობით იქმნა ჩატარებული სახელოვანი ბრძოლა და ლიკვიდაცია უნგერნიადისა და მონღოლიის ახალგაზრდობის რევკავშირის დელეგაციისაგან.

ამას გარდა, ყრილობაზე გამოგზავნეს თვისი წარმომადგენლები რევოლიუციონურმა კომუნისტურმა და პროფესიონალურმა ჯგუფებმა და წყნარ ოკეანეს ზოგიერთ შორეულ კუნძულებისა.

უკვე ერთი ფაქტი, რომ ას ორმოცდაათამდის მოწინავე პირები კომუნისტები და რევოლიუციონერები ჩინეთისა, იაპონიის, კორეის და მონღოლიის, პირები ფიზიკურ და გონებრივ შრომისა, ჩინეთის კულისაგან კორეის გლეხისა და მეთევზისაგან დაწყებული ჟურნალისტით, მწერლით და ექიმით გათავებული, შეიკრიბნენ ამ ყრილობაზე—ეს ფაქტი უთითებს მას თუ რა მნიშვნელობა ეძლევა შორეულ აღმოსავლეთის მშრომელი მასსების ყრილობას.

ახალი ამბები

— **ბრძოლა პარტახტიან ტიფთან.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა დაადგინა ტფილისში გავრცელებულ პარტახტიან ტიფთან საბრძოლველად მოაწყოს „ტიფთან ბრძოლის კვირა“ რომელიც 14 დღეზე მეტი გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მოქალაქეთ უფლება მიეცემა აბანოებში განსაკუთრებულ კამერებით უფასოთ სარგებლობისა დაურიგდებათ საპნის პატარ-პატარა ნაჭრები გაურეცხავენ ტანსაცმელს და საცვლებს. იქნება პარიკმახერი, ტანსაცმელს გაუკეთებენ დეზინფექციას და სხვ.

— **ბავშვების საავადმყოფო.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გახსნილია პოვოლოჟიის ბავშვებისათვის საავადმყოფო 100 ადგილით. აქვე იქნება სამშობიარო სახლი ექიმ მიკერტიჩიანცისა. (ბებუთოვის ქ.) საავადმყოფოს გამგედ დანიშნულია ექიმი შენგელიძე.

— **ფოთის ნავთსადგურზე.** თებერვლის ფოთში მოვიდა ბათომიდან გემი „კორონხი“. თებერვლის 4 ბოლგარიიდან გემი „ალფა“. 60,000 ფ. ხორბლით. „ვნეშტორგის“ სახელზე თებერვლის 6 ბათომიდან გემი „დიმიტრი“ და ქართული მოტორიანი იალქნები: „ცხენის წყალი“ და „კორონხი“.

რუსეთი

მოსკოვი 5 თებერ. წინასწარ საარჩევნო კრებაზე 14 საბჭოთა დაწესებულებისა, რომელსაც დაესწრო 4,000 კაცი, არჩეულ იქმნა საპატიო წევრად მოსკოვის საბჭოსა ნანსენი.

მოსკოვი 5 თებერ. პირველი თებერვლამდის მთელს ფედერაციაში დამზადებულია პური და ფურაჟი. 195 მილ. ფუთი.

მოსკოვი 5 თებერ. თათრების რესპუბლიკაში 1 მილ. ბავშვებისა უკვე არ ღებულობენ დახმარებას. ბავშვები განიცდიან მწვავე საჭიროებას თბილ ტანისამოსებსა და თეთრეულების.

— ვოლგის რაიონების გუბერნიებში შემოსულია ყველა სურროგატები. ძაღლის ხორცი გახდა ფუფუნება. მცხოვრებლები იკვებებიან გაყინული ძირებით. ნიკოლაევსკის მაზრაში მცხოვრებლები იკვებება განსაკუთრებით აყალი მიწით, ნაგვით და ყოველივე სიბინძურით. იშვიათია ქოხი, სადაც არ იყოს გასივებული და მკვდარი შიმშილისაგან.

— ვოლგის რაიონების ქალაქებში შემჩნეულია სტიქიური შემოსვლა ბავშვებისა სოფლებიდან. მშობლები სტოვებენ ბავშვებს უპატრონოდ. მარტო ერთს სოფელში დუბოვკაში შეგროვდა 5,000 ბავშვი, [illegible] დახმარებისა. ცარიცინში ყოველ დღე მოდის 100 ავადმყოფი ბავშვი. კვების განყოფილებაში გუბერნიის სახალხო განათლებისა შემჩნეულია სულის შემძვრელი სცენები. მშიერი დედების ხელზე კვდება მშიერი ბავშვები. სურსათის უქონლობის გამო მთელი რიგი სასადილოებისა დაიხურა.

— შიმშილმა ცარიცინში მიაღწია წარმოუდგენელ საზღვრებამდი. მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის პირდაპირ არ არის ძალა და საშუალებანი. შიმშილობს 20,000 კაცზე მეტი. ზოგიერთ მაზრებში შიმშილობს 85 პროც. მცხოვრებლებისა. ზოგიერთ თემებში დამშეულთა რიცხვი აღწევს 100 პროც.—დის. რიცხვი შიმშილისაგან მომაკვდავთა, რომელთაც კომისიას არ შეუძლია აღმოუჩინოს რაიმე დახმარება უდრის 400,000 კაცს. სურროგატები ამოიწურა. უმთავრესი საზრდო მცხოვრებლებისა მძორია, მაგრამ მალე არც ის იქნება. მაშინ (ეს ეჭვს გარეშეა) მცხოვრებლები შეუდგებიან ლეშების ჭამას. შიმშილისაგან დაავადმყოფებულთა რიცხვის დათვლა პირდაპირ შეუძლებელია. გაზაფხულის თესვის კამპანიას ელის შეწყვეტა. მიცემული თესლი ეყოფა მხოლოდ 40 პროც. სათესი არისას. მუშა საქონელი ნადგურდება, ან წყდება უქმელობისაგან. მდგომარეობა კატასტროფიულია.

— მდგომარეობა ვოლგის რაიონებში დღითი დღე ხდება აუტანელი. არამც თუ სამარისა და სარატოვის გუბერნიებში, არამედ სიმბირშიაც მცხოვრებლები, ზოგიერთ ადგილებს სრულიად სწყდება. ნემეცურ კომუნაში ხშირდება

შემოხვევები თვითმკვლელობის, ხელოვნურად დაავადმყოფების გზით. მშივრებს ხშირად გადამდები სნეულებით შეპყრობილებთან, რომ ამით როგორმე დაავადდნენ და მოკვდნენ და მით განთავისუფლდნენ შიმშილისაგან გამოწვეულ წამებულ სიკვდილისაგან. სხვები იკეტებიან ქოხებში, სწებავენ ნაჭვრეტებს თიხით და ისე იხოცებიან.

უცხოეთი

ბორდო. თებერვლის 3-ს, საფრანგეთის მთავრობამ ტელეგრაფით ოფიციალურად აცნობა იტალიის მთავრობის წარმომადგენლებს, რომ საფრანგეთი მონაწილეობას მიიღებს გენუას კონფერენციაში.

პარიზი. თებ. 3. საფრანგეთის მთავრობამ სპეციალური მოწოდება გამოუშვა, რომელშიაც განმარტა მისი მონაწილეობა გენუის კონფერენციაში.

მანჩესტერი. თებ. 3. პოლიტიკური წრეების ცნობით, გერმანეთი გაგზავნის თავის წარმომადგენლებს გენუაში. წარმომადგენლობის შემადგენლობა ჯერჯერობით უცნობია.

ჟენევა. თებ. 3. შრომის საერთაშორისო ბიურომ, რომელიც არსებობს ერთა ლიგასთან, თავის წარმომადგენლად გენუაში დანიშნა ალბერტ ტომა.

ბორდო. თებ. 3. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა პრესის წარმომადგენლებთან განაცხადა, რომ საფრანგეთი არ ცდილობს აგრესიული პოლიტიკის წარმოებას. ჯარი ესაჭიროება მხოლოდ მშვიდობიანი ცხოვრების დასაცავად.

ნაუენი. თებ. 3. თებერვლის 1-ს გარდაიცვალა იაპონიის პოლიტიკური მოღვაწე იამაგატო.

რომი. თებ. 2. ზოგიერთი უცხოეთის გაზეთთა ცნობა გენუას კონფერენციის გადადების შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება.

ნაუენი. თებ. 2. პარიზის კორესპონდენტის ცნობით, „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა შესცვალა თავისი პოლიტიკა კონტრიბუციის პრობლემის შესახებ. გაზეთი დასძენს, რომ საფრანგეთი დაჟინებით მოითხოვს არა ვალების დაუყონებლივ განაღდებას, არამედ გადახდის წესის დამტკიცებას.

პარიზი. თებ. 2. კონნის ოფიციალური პრესა აღნიშნავს, რომ ისპანიასა და საფრანგეთს შორის დაიწყო პროექტის განხილვა სავაჭრო შეთანხმებისათვის.

რომი. თებ. 2. ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა უარყო მოკავშირეთა ვალის კონსოლიდაციის პროექტი, რომელიც შეიტანა სენატში ჯონსონმა.

ბუქარესტი. რუმინეთის მთავრობამ მოხსნა ცენზურა არჩევნების გამო.

მდგომარეობა აჭარაში

სატყეო საქმე.

სატყეო კომიტეტს დაარსებისთანავე ჩაიბარა ყველა სატყეო საწყობები—რიცხვით ცხრამდე, საიდანაც მასალა ეძლეოდა მხოლოდ საბჭოთა დაწესებულებებს და სამხედრო უწყებას. მხოლოდ ძალიან მცირე კერძო პირებს. 1 ენკენისთვიდან საწყობებიდან იცემოდა მასალა მხოლოდ ნაღდ ფულზე. უკანასკნელ ხანაში საწყობებში არ შემოსულა მასალა, ძველი თადარიგი კი თავდებოდა, ასე რომ, სატყეო კომიტეტი იძულებული შეიქნა შეეწყვიტა მასალის გაცემა. პირველი იანვრისათვის მთელი მასალა უნდა დაეგროვებინათ ერთ სახელმწიფო საწყობში და მოეხდინათ მათი აღრიცხვა.

შეშის დამზადება სწარმოებდა სად. ჩაქვასთან ყოფილ პოპოვის მამულში, სადაც დამზადებული იყო 56 კუბ. საჟენი. შემდეგ ამ რაიონიდან შეშის დამზადება გადატანილ იქნა სხვა რაიონში. კონტრ-აგენტის საშვალებით დღეს სწარმოებს ფიცხელი მუშაობა ციხის-ძირის რაიონში, სადაც დამზადდება 1000 კუბ. საჟ. და სულთანის აგარაკის რაიონში 500 კუბ. საჟ., სწარმოებს მოლაპარაკება დაგო-ბობოქვათის რაიონში შეშის დამზადების შესახებ. ამას გარდა ბ. ს. ს. საბჭომ დასდო პირობა მთავარ სატყეო კომიტეტთან 1000 კუბ. საჟ. შეშის ჩაბარების შესახებ ფრანკო-ბათომში 625.000 მან. საჟ.

ტყავის წარმოება.

ახალი ეკონომიური კურსის შემოღების შემდეგ, პირველ რიგში გაიცა იჯარით ის სამრეწველო დარგები, რომლებშიც წარმოება შეჩერებულ იყო ნედლი მასალის უქონლობის გამო. ასეთი იყო სატყაო ქარხანა პირველი ძმ. ივანიანის და მეორე ფირცხალავა და შარაშენიძის, რომელთაც გადაეცათ იჯარით თავიანთი ქარხნები. როდესაც სამეურნეო საბჭოს განკარგულებაში იყო ქარხანა, მან დაამუშავა 7 თვის განმავლობაში 183 ფუთი და 35 გირ. კამეჩის ტყავი, ამავე დროს კი კერძო პირებმა ერთი თვის განმავლობაში დაამუშავეს 67 ფ. და 10 გირ. ისეთი ტყავი. ასეთი ინტენსიურია დანარჩენ ქარხნების მოღვაწეობაც. ნაწარმოების 30% ეძლევა სახელმწიფოს იჯარის ქირაში. მეძენილი ტყავი ეძლევა მუშა-მოსამსახურეთ.

სამკერვალოები.

1-ლ ოქტომბრამდი სამკერვალო ასრულებდა მხოლოდ საბჭოთა და სამხედრო დაწესებულებების შეკვეთას, ბოლო ხანებში კი კერძო პირების სამუშაოსაც ასრულებდა. პირველ ხანებში მუშაობდა 25 კაცი—ეხლა კი 22. ძალიან აფერხებდა მუშაობას საქონლის უქონლობა.

ფეხსაცმლის სამკერვალო სუსტად მუშაობდა, განსაკუთრებით იმის მიზეზით, რომ მუშები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი. სახელოსნო მუშაობდა მხოლოდ საბჭოთა დაწესებულებისათვის. მილიციის საჭიროებისათვის დამზადებული იყო 100 წყვილი ფეხსაცმელი. პროფკავშირისთვის 270 წყ., ჯანმრთელობის კომ.—210 წყ., სამხედრო უწყებისათვის—500 წყ. „უჩკაპროფსოფისთვის“—500 წყ. და დანარჩენი საბჭოთა დაწესებულებებისათვის—2265 წყ. ამას გარდა პროფკავშირებს მიეცა 1200 წყ. ფეხსაცმლის მასალა.

ზაქარია ჭიჭინაძის იუბილესათვის

მწერალთა კავშირის დადგენილებით ამ მოკლე ხანში, ჩვენ მცხოვან ისტორიკოსს, ბიოგრაფს და საზოგადო მოღვაწეს ზაქარია ჭიჭინაძეს, გადაუხდიან ორმოცდა ათი წლის იუბილეს ნახევარი საუკუნის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

ნახევარი საუკუნე... ენა ადვილად იტყვის, ყური ადვილად მოისმენს.

ძნელია ითქვას, თუ განსაკუთრებით რომელი სამეცნიერო დარგის მოღვაწეობიდან უნდა მიუდგეს მკვლევარი ზაქარიას მოღვაწეობის შესწავლასა და დაფასებას, არ არის არც ერთი ჰუმანიტარული მიმართულება საქართველოს ერის ცხოვრებაში, რომ ზაქარია ჭიჭინაძის კალამს არ შეესწავლოს და არ აეწეროს. განსაკუთრებით იგი ძვირფასია როგორც ისტორიკოსი—და როგორც ბიბლიოგრაფი. ჩვენი ქართული საისტორიო მწერლობა ჯერ საფუძვლით შეუსწავლელია თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე შრომას ამ დარგში. თვით ისტორია საქართველოსი არ წარმოადგენს ერთ მთლიან, შინაარსში და ფორმაში ჩამოყალიბებულ ისტორიას. შეუსწავლელია თითქმის უცხოეთის მთელი საისტორიო ლიტერატურა საქართველოს ერის ცხოვრების შესახებ. განსაკუთრებით აზიური, ოსმალურ-სპარსულ-არაბული წყაროები, რომელნიც დაუშრეტელ განძს წარმოადგენენ საქართველოს ისტორიისათვის, ეს გარემოებანი სრულებით სცვლიან ერთხელ მიღებულს და დაკანონებულ ისტორიულ ფაქტებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობაშია საქართველოს ისტორიის განახლების წინა პერიოდი და შემდეგ, თვით ახალი ეპოქა ჩვენი ისტორიისა. და სწორეთ ამ ახალი პერიოდის უკანასკნელი დროის მწერალს წარმოადგენს ჩვენი მცხოვანი მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე.

ის პატარა წიგნაკები, რომელშიაც აწერილია საქართველოს ისტორიიდან ესა თუ ის განსაზღვრული დროები, ფრიად საგულისხმოა ჩვენი ღარიბი საისტორიო მწერლობისათვის.

პატარა წიგნები, რომელიც ზაქარიას კალამს ეკუთვნიან და აღწერენ საქართველოს განაპირა კუთხეებს საინტერესოა ისე ძლიერად, რამდენადაც ჩვენ ფრიად გაგვიჭირდებოდა გამოგვეკვლია ამ კუთხეების დამოკიდებულება საქართველოსთან სხვა და სხ. ეპოქებში.

ოსეთი, ოდიშ-აფხაზეთი,—სამუსულმანო საქართველო, მესხეთ-ჯავახეთი, არტანუჯ-ლაზისტანი, ლიგანა მაჭახეთი, და სხვა მრავალი ისტორიული ადგილები, რომელთა შესახებაც ვრცელი მონოგრაფიები მოეპოვება ზაქარიას და დიდი—დეტალური საზომით აღწერს მათ სოციალურ და პოლიტიკურ, სახეებს სხვა და სხვა მიზეზთა კავშირით ხსნის.

[illegible] პოლიტიკური ხასიათის შემთხვევანი ჩვენი ისტორიის უკანასკნელი (მე XIX საუკ.) ხანის არენაზე, რომელიც ჯერ კიდევ უცნობნი ან ნაკლებად ცნობილნი იყვნენ ქართველი ფართო საზოგადოებისათვის—ისტორიის ენერგიულმა ებგურმა ზაქარიამ, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა და მისცა საშუალება მოზარდ თაობას გაეცნობოდნენ ერის ახლო წარსულს.

1804—6 წ. წ. მომხდარი პოლიტიკური აჯანყებანი დასავლეთ საქართველოში, 1812—32 და 1860 წლებში მომხდარი ამბები და შეთქმულებანი რუსეთის მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელთა შესახებაც ბევრმა ცოტა იცის და ზოგს სრულებით არაფერი არ გაეგონია, შეისწავლა და გამოსცა ამ იშვიათი ენერგიის პატრონმა ადამიანმა.

ის ამ მხრივ შეუდარებელი მუშაკია შეუძლებელია საგაზეთო წერილში ყოველივე აღნუსხვა.

დიდი პატივცემაა ზაქარია, როგორც ბიოგრაფიც. ჩვენი ძველი და ახალი საზოგადოებრივი მოღვაწეების ცხოვრების ცოდნა, ცხადია ძლიერ საინტერესო უნდა იყოს ყოველი ქართველი ინტელიგენტისათვის. მრავალი ისტორიული პიროვნების ცხოვრება დღესაც ბურუსით არის ჩვენთვის მოცული. აქაც ზაქარიას მადლიანი ხელი გვხვდება და მრავალ მოღვაწე პირებს გვაცნობს იგი. მე-19 საუკუნის პოლიტიკურ ცაზე გამოსულ პირთა და 1832 წელში მომხდარი შეთქმულების გმირთა შესახებ, მრავალი გამოცემული და გამოუცემელი მასალები მოეპოვება მას.

დაუფასებელია იგი როგორც საქრისტიანო, ისე კათოლიკური საეკლესიო მკვლევარი, არა დაუფასებელია აგრეთვე სტამბის და მკურნალობის ისტორია, რომელთა შესახებაც ძვირფას ცნობებს იძლევა მკვლევარი.—ქალთა საკითხებზეც მუშაობს იგი. მაგრამ რამდენი ან რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს, მომავალი შესძლებს მის უფრო ღირსეულ დაფასებას.

თუ ვინმეს სურს იხილოს ცოცხალი ენციკლოპედისტი—გაეცნოს ცოცხალ ისტორიულ სურათს, პირადად განიცადოს წარსული მოვლენა საქართველოს ცხოვრებიდან, მან უნდა გაიცნოს ზაქარია და მოისმინოს მისი დინჯი გონივრული სჯა და აზრიანი ბაასი.

ნახევარი საუკუნე მოღვაწეობს იგი. ორმოცდა ათი წელი შრომობს ეროვნული კულტურის გაღრმავებისათვის. რამდენ ქართველს შეუძლია ასეთი ამაგი დაიკვეხოს ქართველი ხალხის მიმართ?

ძალიან მცირეს.

ზაქარია ჭიჭინაძე ამ მცირე ჯგუფის ერთი შუქური ვარსკვლავია.

დღეს უკვე 80 წლის იქნება იგი. მართალია ყველა საზოგადო მოღვაწის ჩვეულებრივი სტუმარია შიმშილობა, სიღარიბე, მაგრამ ზაქარია ჭიჭინაძე ამ მხრივ მართლა ჩვეულია. დღესაც დიდ ნივთიერ სივიწროვეს განიცდის იგი.

ზაქარია ბევრს სწერს, მაგრამ თვით ზაქარიას ცხოვრება და მოღვაწეობა არ არის დაწერილი და გამოცემული. ჩვენი საზოგადოება სათანადოთ არ იცნობს მას.

ასეთია მოკლედ ჩვენი ენერგიული მოღვაწე.

ამ მოკლე ხანში ქართველი საზოგადოების წინ წარსდგება ზაქარია, ქართველი ხალხი სიყვარულის გვირგვინით შეამკობს მის მოხუც სახეს, მის სპეტაკ შუბლს.

გ. თავზარაშვილი.

მწერალთა სასახლეში

თებერვლის 2-ს. მორიგი ლიტერატურული ხუთშაბათის სხდომა. დარბაზი სავსეა მსმენელებით. ჰაერი გაჟღენთილია ხელოვნების შემეცნების უხილავი წყურვილით. მოხსენებას კითხულობს ი. ეკალაძე: „ქართული მწერლობის ტრიბუნა“. ძველი მწერლობის ეპილოგი თავგამოდებით იცავს ქართული ხელოვნების კორიფეებს. ილია და აკაკი ვინც გადასცდება ამ მიჯნას—ის დეგენერატია პოეზიისა და მწერლობისა.

მე არ მაკვირვებს სრულებით, როდესაც ი. ეკალაძე [illegible] იდეების მატარებელია საქართველოში, მაგრამ როდესაც ეკალაძის კონცეპცია თანაგრძნობას იწვევს ზოგიერთებში—არ შემიძლია არა ვსთქვა: [illegible] გაგება ქართულ ხელოვნებას მოლიპულ გზაზედ აყენებს. საქართველოში ბევრი ილიას პატივისცემას იმაში ხედავს, „რომ ახალი თაობის ლიტერატურა ლოღიკური [illegible] უნდა იყოს ილიას იდეების, და მთელი მისი შინაარსი ილიას მიერ უკვე ნაგრძნობი და განცდილი მსოფლმხედველობით უნდა ამოიწურებოდეს. ერთი სიტყვით: ილიას შემდეგ საქართველოში ლიტერატურამ თავისი პერსპექტივა დასრულებულად უნდა სცნოს და პროგრესისაკენ მიმავალი გზები დახუროს.

მაგრამ შეიძლება თუ არა ქართული ლიტერატურული აზროვნების წრე დასრულდეს ილია ჭავჭავაძეთი?

ილია ჭავჭავაძეს თუ ქართული ლიტერატურის წინაშე დამსახურება მიუძღვის—ეს მხოლოდ მიტომ, რომ იგი ახალი იყო თავის დროს და მაშასადამე პროგრესიული წარსული ეპოქისათვის და ვისაც სურს ილიას პატივისცემა მან საზოგადოებას ილიას ნაწარმოების უხეირო ვარიაციები კი არ უნდა მიაწოდოს,—არამედ უნდა მიჰბაძოს ჭავჭავაძეს იმ პუნქტში, სადაც იგი ახალი იყო თავისი ეპოქისთვის.

ჩვენ ვიცით: ილია დიდი იყო ქართული მწერლობის ისტორიაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ კულტად გავიხადოთ იგი და ყოველ მოსახვევში ვიმეოროთ ის, რაც ილიამ ჩვენზე უკეთესად სთქვა.

ევროპამ არა ერთი „ილია“ იცის, მაგრამ ევროპამ წინსვლაც იცის. და თუ ევროპაში თაყვანსა სცემენ „ილიებს“ მხოლოდ მიტომ, რომ მათ უყვართ ახალი ლიტერატურა, რომელიც უკეთესი იქნება ვიდრე „ილიების“ ლიტერატურა.

ასე ესმის ევროპას პროგრესი!

საქართველოდან ჩვენ ევროპას ღია თვალით უნდა ვუყუროთ, ლიტერატურა და აზროვნება საერთოდ არასოდეს არ უნდა შემოვფარგლოთ ავტორიტეტით.

მიუხედავათ ილიას და ჩვენ დავინახავთ, რომ ილია ჭავჭავაძეც სწორედ ქართული აზროვნების დინამიურობა და იგი მქუხარე თერგით წარმოადგინა.

მოხსენებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ცხარე კამათი გამოიწვია. ძველი ლიტერატურის წარმომადგენლებს სურთ ილია და აკაკი ყველას მოაწონონ...

გერმანეთში [illegible] მოშო, მაგრამ [illegible] შეიძლება გერმანეთმა ახალი-მიზნები გამოიგონოს?

არც ერთი ეპოქის ლიტერატურას წარსულ ეპოქებში აზროვნების ანალოგიური პრეცენდენტები არ უნდა ჰქონდეს.

ლიტერატურულ მიმართულებათა ციკლი ლოღიკის სილლოგისტიკას კი არ უნდა ექვემდებარებოდეს,—არამედ გენეტიურ კავშირს. ევროპაში ეს კარგად იციან, როდესაც დიდი მოაზროვნეთა პირით გვასწავლიან: არ არსებობს ლიტერატურის ისტორიაო.

სხდომაზედ საინტერესო იყო ექიმი ივ. ელიაშვილი. იგი ახალ ქართულ ლიტერატურას მით იწუნებდა, რომ შიგ ხშირია სიტყვა: ლუესი! განა ამით შეიძლება ლიტერატურული ნაწარმოების დაწუნება,—ან თუნდა დაფასება? ნუ თუ ევროპის ლიტერატურა არაფრად არ ღირს, რადგან იქ ასეთ მომენტებს ხშირად შეხვდებით. განა არავითარი ღირებულება არა აქვს კუპრინს?

ივ. ელიაშვილმა უნდა იცოდეს, რომ იბსენმა და გ. ჰაუპტმანმა სცენაზედაც კი გადაიტანეს ის ინტიმიური სამინელება ცხოვრებისა, რაც ყველა ეპოქას ახასიათებდა. უკანასკნელ ხანებში ახალი დრამატურგი [illegible] უფრო შორს წავიდა: მან რამპის წინ გააშიშვლა მეოცე საუკუნის გარყვნილი საზოგადოება. ვის მოუვა თავში სთქვას, რომ ეს პორნოგრაფიაა, გარყვნილებაა.

საინტერესოა ილიას თაყვანისმცემი ექიმი, როგორ ურიგდება „გლახის ნაამბობის“ იმ მომენტს, როდესაც დათო ურცხვის ხელით ნამუსს ახდის გლახის ქალიშვილს. ან იქნება მას ჰგონია, რომ ეს ადგილი ილიას ნაწერში ყალბი და სუსტი ადგილია, პორნოგრაფია და სხვა არაფერი?

გ. ნადირაშვილი.

ამხ. კოლია ჭუმბურიძის ხსოვნას

ულმობელმა სიკვდილმა, ტანჯულ სტუდენტთა წრეს მოსტაცა ენერგიითა და სიცოცხლით სავსე მოუღალავი ახალგაზრდა, ამხ. კოლია ჭუმბურიძე...

ვინ იყო, ან რა იყო კოლია, ამის გასაგებად დიდი დრო და ენერგია არ დაეხარჯებოდა ადამიანს. საკმაო იყო რამოდენიმე საათით მასთან ბაასი, რამოდენიმე სიტყვა მისი გულის სიღრმიდან ამოსული, მთელი მისი უბრალო და სადა არსების დასახასიათებლად.

კოლია ნამდვილი იდეალური მეგობარი იყო თავისი ამხანაგების.

ამ მწარე წუთებში მე მაგონდება წარსული წლები, მოწაფეობა და ნათლად მეხატება თვალწინ კოლიას მხიარული სახე და მისი მოქმედება..

ხუმრობისებურ დროს ის, როგორც კარგი [illegible] ავადმყოფებში დატრიალებდა ხელმოკლე მეგობართა შორის და [illegible] გულით, შეძლებისამებრ აახლოვებდა და დახმარებას აწვდიდა ყველას.

ეხლაც ნათლად მახსოვს ძვირფასო მეგობარო, შენი ჩვეულებრივი მხურვალე სიტყვები: „ა-ა, ბიჭებო არ შეშინდეთ, თუ რამ გჭირიათ მომმართეთ, მე [illegible] ვარ“-ო და სხვა ასეთები,—რომელნიც ყოველთვის გაგვიმართლებია სინამდვილეში.

მახსოვს ისიც, თუ როგორის აღფრთოვანებით მსჯელობდი და როგორი ფერადებით ღებავდი ტანჯულ საქართველოს მომავალს.

მაგრამ, საუბედუროთ არ დაგცალდა, ძვირფასო კოლია ამ დუხჭირ წუთისოფელში, სადაც, როგორც სჩანს, ბედნიერებას არც კი ჰქონია ადგილი, არც შენი ჩაგრული სამშობლოს აყვავება და არც პირადი ბედნიერება.

განისვენე ძვირფასო მეგობარო მშვიდათ.

გწამდეს, რომ შენი ხსოვნა სიკვდილამდე არ ამოიფხვრება შენი ამხანაგების გულიდან და ჩვენი პარტიის ამაყ დროშის ირგვლივ დარაზმებით საქართველოს და მშრომელთა დასაცავად.

სტ. გიორგი მაჭავარიანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.